ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13.13212113**
თარიღი:**30/07/2021**

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,სამცხე–ჯავახეთის რეგიონული ძიუდოს კლუბი''-ს, სამცხე-ჯავახეთის მხარეში შემავალ მუნიციპალიტეტებთან (ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ბორჯომი, ნინოწმინდა) ერთად დაფუძნების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 106[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს და თანახმაა ახალციხის მუნიციპალიტეტი გახდეს ა(ა)იპ ,,სამცხე–ჯავახეთის რეგიონული ძიუდოს კლუბი''-ს დამფუძნებელი სამცხე-ჯავახეთის მხარეში შემავალ მუნიციპალიტეტებთან (ადიგენი, ასპინძა, ახალქალაქი, ბორჯომი, ნინოწმინდა) ერთად.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. № 62).

გელა ნოზაძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი